

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 15

ქ.ვანი თავისუფლების N65

22 აგვისტო 2018 წელი

13 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარბეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე.** (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვლობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N2751 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი

საპრივატიზაციო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“.

/მომხს: ზვიად კაპანაძე/

3.სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვლობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვლობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულების პირველ მუხლს დაემატოს დინამიური ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ისრიის ცენტრიდან ჯვარისერის უბნის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ასევე შეტანილ იქნეს ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვლობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულების დანართში N1-ში, 2018 წლის ნაწილში გადმოტანილი იქნას 2019 წელს განსახორციელებელი:

ამაღლება- საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია /ინაშაურის მიმართულებით/, (მესამე ეტაპის სამუშაოები) .

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს მომხსენებლის მიერ წამოდგენილ პირველ საკითხს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვლობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანას.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები:

1.ქ. ვანში, გ.ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 30 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.01.25.197;

2.ქ.ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 8 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.01.30.233;

დანარჩენი წარმოდგენილი ობიექტების ჩამონათვალი დანართის სახით თან ერთვის.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 3/

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე
ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე